

აღნიშნული ვებგვერდი www.amazonshop.ge წარმოადგენს შპს „ამაზონშოფ“-ის (ს/კ 416352315) საკუთრებას.

თუ თქვენ ახორციელებთ ჩვენი საიტით სარგებლობას ეს ავტომატურად გულისხმობს, რომ თქვენ ეთანხმებით ჩვენს წესებსა და პირობებს, ასევე კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

1. ზოგადი პირობები

გამოყენებული ტერმინები : ჩვენ- შპს „ამაზონშოფ“-ის (ს/კ 416352315) შემდგომში კომპანია. თქვენ- პირი, რომელიც შედის ვებგვერდზე; ასევე იურიდიული პირი, რომლის სახელითაც ფიზიკური პირი შედის ვებგვერდზე; ხელშეკრულება - წინამდებარე დოკუმენტი;

კომპანიის ვებგვერდით სარგებლობისას თქვენ ადასტურებთ, რომ:

- 1.1. არ განახორციელებთ ისეთ ქმედებას, რომელიც აკრძალულია ამ ხელშეკრულებით, კანონმდებლობით და სხვა დადგენილი წესებით.
- 1.2. ხართ 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი პირი და გაქვთ უფლებამოსილება დადოთ წინამდებარე ხელშეკრულება.
- 1.3. დაიცავთ ინტელექტუალურ და საავტორო უფლებებს, არ განახორციელებთ საიტის ან მისი ნაწილის რაიმე სახით კოპირებას.
- 1.4. დაიცავთ თქვენი ანგარიშის მონაცემებს მესამე პირებიგან, არ გადასცემთ მომხმარებლის ინფორმაციას რაც შემდგომში შეიძლება გახდეს თქვენი ანგარიშით სარგებლობის მიზეზი.
- 1.5. წარმოადგენთ ჩვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას ზუსტად და სრული სიზუსტით რათა შეუფერხებლად მოხდეს მომსახურების მიღება

2. პროდუქტის შეძენა, რეგისტრაცია

- 2.1. პროდუქტის შეძენა შესაძლებელია რეგისტრაციის გავლის გარეშე. საიტზე სასურველი ნივთის არჩევით და შეკვეთის გაფორმებით. ნივთის შეძენა ხდება როგორც საიტისა და პირსაპირი შესყიდვით ასევე საბანკო განვადებით და კურიერთანა ნგარიშსწორების გზით, რაზეც მომხმარებელი უშუალოდ თანხმდება შეკვეთის გაფორმების დროს.
- 2.2. მომხმარებელი საიტზე რეგისტრაციისას ავტომატურად მოექცევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებისა და რეგულაციების ქვეშ.
- 2.3. მაღაზიის საიტზე პროდუქციის შეძენამდე, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროდუქტის ზუსტ აღწერილობას და შეარჩიოს მისთვის სასურველი მონაცემების მქონე ნივთი.
რაც გულისხმობს ინფორმაციას საქონლის დასახელების, მწარმოებლის, არსებითი მახასიათებლების (ზომა, ფუნქციები) შესახებ. ასევე გაეცნოს პროდუქტის მიწოდებასთან დაკავშირებით ინფორმაციას.

3. მომსახურების მიღების პირობები

- 3.1. საიტი ფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში.
- 3.2. ჩვენი კომპანიის მომსახურება ხელმისაწვდომია საქართველოს ფარგლებში.

4. დაბრუნების და შეცვლის პირობები

4.1. მომხმარებელს უფლება აქვს დააბრუნოს ნივთი 14 დღის განმავლობაში, თუ ნივთი ინარჩუნებს პირვანდელ სახეს, ნივთი არ უნდა იყოს გამოყენებული, შენარჩუნებული უნდა ქონდეს ის პირვანდელი მდგომარეობა როგორშიც მომხმარებელმა შეძენისას მიიღო, თავდაპირველი შეფუთვისა და სასაქონლო იერსახის გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. შეცვლას/დაბრუნებას არ ექვემდებარება ნივთები:

4.2.1. რომლებიც დამზადებულია პერსონალურად მომხმარებლისთვის, ინდივიდუალური დაკვეთით.

5. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს, წაიშალოს ან განახლდეს წინასწარი შეტყობინების გარეშე. ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას იმაზე, რომ ამ ვებგვერდით მიწოდებული მომსახურებები იმუშავებს შეცდომების ან შეფერხებების გარეშე. ამასთანავე, თქვენ გვერძალებათ ჩვენი სისტემების ან ამ ვებგვერდის ყოველგვარი არაუფლებამოსილი ან ვებსაიტზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის არასათანადო გამოყენება. ჩვენ არ გვეკისრება პასუხისმგებლობა და ვალდებულება რაიმე სახის გარანტიის ან პირობის მიცემაზე ამ ვებგვერდთან დაკავშირებით; მათ შორის შეუსაბამობაზე ვებგვერდსა და მომხმარებლის ფაილებს ან მომხმარებლის მიერ ინტერნეტში გამოყენებულ სანავიგაციო პროგრამას ან საიტზე შესასვლელ სხვა პროგრამას შორის და სხვა პრობლემებზე, რომლებიც მომხმარებელს შეიძლება შეექმნას ჩვენგან დამოუკიდებელი პირობების გამო. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ ვებგვერდზე შესვლა შეუძლებელია, შეფერხებულია ან შეზღუდულია ან თუ ვებგვერდი არ მუშაობს სწრაფად და გამართულად, არსებობს დიდი ალბათობა, რომ თქვენ ვერ შეძლოთ მომსახურების მიღება და გადახდა დასრულდეს წარუმატებლად. გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით ვალდებულნი ხართ თავი შეიკავოთ ვებგვერდის გამოყენებისაგან/ მომსახურების მიღებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების მიუხედავად თქვენ მაინც აგრძელებთ ვებგვერდით სარგებლობას, დამდგარ შედეგებზე და რისკზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

6. კონფიდენციალურობა, მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია

ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირადი საიდენტიფიკაციო არამედ არაპირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, ჩვენ შეიძლება გთხოვოთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს: სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისმართი. პროდუქტის საფასურის გადახდისას ჩვენ შეიძლება ასევე გთხოვოთ წარმოადგინოთ თქვენი ბარათის ნომერი, ვადის გასვლის თარიღი, აუთენტურობის კოდი ან სხვა ინფორმაცია. თქვენი ბარათის დეტალები არ ინახება ჩვენს ვებგვერდზე, რადგან გადახდა ხდება ჩვენი პარტნიორი ბანკის დაცული გვერდიდან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება თქვენი ბარათის ინფორმაციაზე. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩვენს მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას: თქვენი შეკვეთის დასამუშავებლად; მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

7. უსაფრთხოება

მომხმარებლის მიერ მოწოდებული პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის დასაცავად ჩვენ ვატარებთ მრავალ ღონისძიებას. თქვენი პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია ჩვენს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მხოლოდ თქვენი მომხმარებლის სახელისა და პაროლის მითითების შემთხვევაში. ჩვენ გირჩევთ, რომ მესამე პირებს არ გაანდოთ თქვენი პაროლი. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია თქვენს ბარათთან დაკავშირებით, რადგან თქვენი ბარათი პარტნიორი ბანკის კონტროლის სფეროს განეკუთვნება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მონაცემთა ნებისმიერი გადაცემა ინტერნეტის ან უკაბელო ქსელის საშუალებით შეუძლებელია იყოს აბსოლუტურად და გარანტირებულად უსაფრთხო. ჩვენ ვატარებთ კომერციულად გონივრულ უსაფრთხოების ზომებს, რათა დავიცვათ მონაცემები თუმცა ჩვენ ვერ გავცემთ რაიმენაირ გარანტიას ვებგვერდისათვის ან ვებგვერდიდან გადაცემული ინფორმაციის უსაფრთხოებაზე და არ ვაგებთ პასუხს ნებისმიერი მესამე მხარის ქმედებებზე, რომელმაც შეიძლება მიიღოს ნებისმიერი მსგავსი ინფორმაცია.

8. ონლაინ შესყიდვების პირობები

საიტი ფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში, შეკვეთის გამოგზავნის შემდეგ ოპერატორი დაგიკავშირდებათ სამუშაო საათებში 10:00-19:00 საათამდე.

9. მიწოდების პირობები

თბილისის ტერიტორიაზე შეკვეთილი პროდუქტის მიწოდება მოხდება შეკვეთიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში რეგიონებში მიწოდება ხდება შეკვეთიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. საკონტაქტო ინფორმაცია

- 10.1.** საიტზე განთავსებულია ინფორმაცია მაღაზიის შესახებ, მისი საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართის, ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის ჩათვლით, რაც უფრო ეფექტურს ხდის მომხმარებლისა და კომპანიის კომუნიკაციას

„ამაზონშოფ“

(ს/კ 416352315)

გარანტია

საიტზე განთავსებულ ნივთებზე ვრცელდება მწარმოებლის მიერ მოცემული გარანტია რომლის ხანგრძლივობას მითითებულია უშუალოდ ნივთის გვერდზე.

რაც შეეხება საგარანტიო პირობებით სარგებლობას, მომხმარებელი საგარანტიო პირობებით სარგებლობის აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს ნივთის ტრანსპორტირებას და მიწოდებას მაღაზიისთვის.

საგარანტიო პირობებით სარგებლობის შემთხვევაში, თუ გამოირიცხება ნივთის მექანიკური დაზიანება, სერვის ცენტრი განსაზღვრავს შეკეთებისთვის საჭირო პერიოდს კონკრეტული შემთხვევისთვის ინდივიდუალურად რაც არ უნდა აღემატებოდეს 40 დღეს.

მომხმარებლისმიერ ნივთით ჩაბარებიდან 24 საათის განმავლობაში თუ იქნება დაფიქსირებული ნივთის ქარხნული წუნის შესახებ ინფორმაცია ნივთი ექვემდებარება ამოცვლას.